



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა №   301  

14 ივნისი  
“ --- ” ----- 2024 ♡

**ქ. თბილისი**

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 29 მაისის N24.923.1033 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული N0124058586-67 (N N 01241073469-67; 01241211801-67; 012413315-67; 012414727-67; 01241484435-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



## განკარგულება - N 24.923.1033 29 / მაისი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ-ზე (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 27 თებერვალს N0124058586-67 (N N 01241073469-67; 01241211801-67; 012413315-67; 012414727-67; 01241484435-67 ) განცხადებით მიმართა შპსნაზარ ჰაჯიევიძე (პ/ნ 2RDSEQC, C02890681) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881). საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართი შეადგენს 47 800 კვ.მ-ს. არსებული მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია მშენებლობა შეწყვეტილი მეგამარკეტის საძირკვლის კონსტრუქციული ელემენტები (წერილობითი საძირკვლები; მონოლითური კედლები). ტოპოგრაფიული თვალსაზრისით საპროექტო ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით, დახრილობით ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, მაქსიმალური სხვაობა რელიეფის ნიშნულებს შორის შეადგენს 18.5 მ-ს.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ფარგლებში შემოთავაზებულია ტერიტორიის მაღალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება, რაც გულისხმობს ტერიტორიის განვითარებას არსებული ფუნქციური ზონის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) -ის ფარგლებში, ასევე ტერიტორიის ნაწილის განვითარებას სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით;

წარმოდგენილი წინადადებით გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის დაყოფა 8 სექტორად, სადაც განთავსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები სათამაშო მოედნით და საბავშვო ბაღით;

სავარაუდო ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის ფართობი 47 800კვ.მ



მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 8;

სართულიანობა - 2-15 სართული;

შენობა-ნაგებობების რაოდენობა-7;

განაშენიანების მაქსიმალური ფართობი - 8870 კვ.მ

სზ-6 (კ1-0.5), ტზ-1 (კ1-);

განაშენიანების მაქსიმალური ინტენსივობის ფართობი - 104 100კვ.მ

სზ-6 (კ2-2.5), ტზ-1 (კ2-);

გამწვანებული ტერიტორიის ფართობი - 21 340 კვ.მ;

სზ-6- (კ3-0.3), ტზ-1 (კ3-0.1)

არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) ;

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 28 მაისის N01241493709 წერილის შესაბამისად, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი

საქართველო, თბილისი, 0160, ვ. შარტავას ქ. N7, (+995 32) 378 254, ფაქსი:(+995 32) 378 202

დავალება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 27 მაისის N01241481919 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0124058586-67 (N N 01241073469-67; 01241211801-67; 012413315-67; 012414727-67; 01241484435-67 ) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N234ბ; ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.880; N01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

  
ვახა კალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01241493709  
თარიღი: 28/05/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 27 მაისის №01241484435-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-12 კმ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.880; 01.72.14.014.881; **არსებული ფუნქციური ზონა:** საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); **საპროექტო ფუნქციური ზონა:** სზ-6, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)), მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის გვემარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის მითითებით (**სზ-6: ნაკვეთი №1=0.3=2548.2 მ<sup>2</sup>; ნაკვეთი №2=0.3=2376.9 მ<sup>2</sup>; ნაკვეთი №3=0.3=2096.4 მ<sup>2</sup>; ნაკვეთი №4=0.3=1587.9 მ<sup>2</sup>; ნაკვეთი №5=0.3=2458.2 მ<sup>2</sup>; ნაკვეთი №6=0.3=1226.1 მ<sup>2</sup>; ნაკვეთი №7=0.3=180 მ<sup>2</sup>; ტზ-1: ნაკვეთი №8=0.1=622.1 მ<sup>2</sup>**) და ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემულ საექსპერტო დასკვნას, რომლის შესაბამისად, განმცხადებელი საპროექტო ტერიტორიაზე გეგმავს **1352 ძირი მწვანე ნარგავის** (№47; №48; №65; №68; №72; №88; №89; №90; №91; №92; №93; №103; №104; №106; №117; №118; №119; №136; №137; №138; №139; №156; №158; №202; №205; №206; №255; №256; №257; №258; №259; №307; №308; №309; №312; №313; №314; №334; №335; №336; №337; №339; №340; №341; №343; №346; №347; №348; №349; №351; №355; №356; №357; №358; №359; №361; №381; №383; №392; №393; №394; №395; №422; №423; №425; №443; №444; №445; №446; №447; №458; №459; №460; №461; №462; №483; №484; №485; №486; №487; №488; №489; №490; №491; №497; №498; №501; №502; №503; №504; №506; №516; №517; №518; №519; №520; №521; №552; №575; №576; №577; №578; №579; №580; №581; №612; №613; №615; №616; №618; №619; №620; №621; №622; №632; №633; №689; №775; №837; №838; №839; №841; №852; №863; №864; №877; №878; №879; №880; №881; №882; №883; №884; №885; №886; №887; №888; №889; №912; №913; №914; №915; №918; №919; №922; №939; №955; №956; №958; №959; №960; №961; №963; №970; №1022; №1030; №1032; №1033; №1037; №1038; №1039; №1056; №1057; №1071; №1072; №1156; №1157; №1159; №1161; №1167; №1176; №1177; №1184; №1194; №1195; №1196; №1197; №1198; №1199; №1316; №1317; №1324; №1325; №1326; №1327; №1328; №1329; №1335; №1429; №1430; №1431; №1479; №1480; №1626; №1627; №1628; №1629; №1682; №1697; №1698; №1699; №1710; №1711; №1712; №1713; №1714; №1715; №1729; №1730; №1772; №1773; №1774; №1775; №1776; №1777; №1778; №1779; №1780; №1781; №1782; №1783; №1823; №1824; №1825; №1826; №1827; №1828; №1829; №1834; №1836; №1837; №1839; №1840; №1841; №1842; №1843; №1844; №1848; №1850; №1851; №1852; №1854; №1914; №1915;

№1918; №1920; №1921; №1922; №1923; №1924; №1925; №1926; №1927; №1928; №1941; №1942; №1944; №1945; №1946; №1947; №1948; №1949; №1950; №1951; №1952; №1953; №1954; №1965; №1966; №1968; №2160; №2161; №2162; №2163; №2164; №2165; №2166; №2167; №2168; №2172; №2173; №2174; №2175; №2176; №2177; №2178; №2179; №2180; №2183; №2184; **17 ძირი ხილვენკროვანი:** №115; №840; №865; №866; №957; №968; №969; №1182; №1183; №1630; №1845; №1917; №1919; №1943; №1955; №1962; №1967; **105 ძირი ზესმელი-ზმოლადი-** №45; №54; №56; №60; №62; №69; №71; №86; №94; №96; №98; №107; №120; №153; №154; №155; №157; №189; №201; №204; №208; №224; №231; №238; №245; №246; №252; №267; №291; №294; №296; №301; №302; №310; №311; №323; №324; №325; №328; №333; №338; №342; №344; №345; №350; №352; №353; №354; №360; №362; №374; №376; №377; №387; №411; №418; №424; №436; №439; №441; №442; №448; №469; №509; №626; №627; №669; №671; №672; №683; №694; №704; №708; №717; №718; №719; №721; №736; №737; №740; №743; №744; №745; №746; №750; №774; №783; №784; №785; №793; №802; №813; №829; №833; №853; №932; №949; №950; №971; №983; №1683; №1696; №1835; №1916; №1938; **934 ძირი 25 სმ და ნაკლები დიამეტრი:** №11; №12; №13; №14; №26; №27; №28; №29; №30; №31; №32; №33; №34; №35; №36; №42; №43; №75; №76; №77; №78; №79; №80; №99; №100; №101; №102; №121; №122; №123; №124; №125; №126; №127; №128; №129; №170; №171; №172; №173; №174; №175; №176; №177; №178; №179; №182; №183; №184; №185; №186; №187; №188; №190; №191; №192; №193; №194; №195; №196; №207; №209; №210; №211; №212; №213; №214; №215; №216; №217; №218; №219; №220; №221; №222; №223; №225; №226; №227; №228; №229; №230; №232; №233; №234; №235; №236; №237; №239; №240; №241; №242; №243; №244; №247; №248; №249; №250; №251; №253; №254; №260; №261; №262; №263; №264; №265; №266; №268; №269; №270; №271; №272; №273; №274; №275; №278; №279; №280; №281; №282; №284; №285; №286; №287; №288; №289; №290; №292; №293; №295; №297; №298; №299; №300; №303; №304; №305; №306; №363; №364; №365; №366; №367; №368; №369; №370; №371; №372; №373; №375; №378; №397; №398; №399; №400; №401; №402; №403; №404; №405; №406; №407; №408; №409; №410; №412; №413; №428; №429; №430; №431; №432; №433; №434; №435; №437; №449; №451; №452; №453; №454; №455; №456; №457; №463; №464; №465; №466; №468; №470; №471; №472; №473; №474; №475; №476; №477; №478; №479; №480; №481; №482; №492; №493; №494; №495; №530; №532; №537; №538; №539; №540; №548; №549; №550; №554; №555; №556; №557; №558; №559; №560; №561; №562; №563; №564; №565; №566; №567; №568; №569; №570; №571; №572; №573; №574; №583; №584; №585; №586; №587; №588; №589; №590; №591; №592; №593; №594; №595; №596; №597; №598; №599; №600; №601; №602; №603; №604; №605; №606; №607; №608; №609; №610; №611; №623; №624; №625; №628; №629; №630; №631; №634; №635; №636; №637; №638; №639; №640; №641; №642; №643; №644; №645; №646; №647; №684; №685; №686; №690; №691; №692; №693; №695; №696; №697; №698; №699; №700; №701; №702; №703; №705; №706; №707; №709; №720; №722; №723; №724; №725; №816; №817; №818; №819; №820; №821; №822; №823; №824; №825; №826; №827; №828; №830; №831; №834; №842; №843; №844; №845; №846; №847; №848; №849; №868; №869; №870; №871; №872; №873; №874; №890; №891; №892; №893; №894; №895; №896; №897; №898; №899; №900; №901; №902; №903; №904; №905; №906; №907; №908; №910; №911; №975; №976; №977; №978; №979; №980; №981; №982; №984; №985; №986; №987; №988; №989; №990; №991; №992; №993; №994; №995; №999; №1000; №1001; №1002; №1003; №1004; №1005; №1006; №1007; №1008; №1010; №1011; №1012; №1013; №1014; №1015; №1016; №1017; №1018; №1019; №1020; №1021; №1040; №1041; №1042; №1043; №1044; №1045; №1046; №1047; №1048; №1049; №1050; №1051; №1052; №1053; №1054; №1055; №1063; №1064; №1065; №1066; №1067; №1068; №1083; №1084; №1085; №1086; №1087; №1088; №1089; №1090; №1091; №1092; №1093; №1094; №1095; №1096; №1097; №1186; №1187; №1188; №1189; №1190; №1191; №1200; №1201; №1202; №1203; №1204; №1205; №1206; №1207; №1208; №1209; №1210; №1211; №1212; №1213; №1214; №1215; №1216; №1217; №1218; №1219; №1220; **6 ძირი 25 სმ-ზე მეტი დიამეტრი:** №169; №276; №277; №283; №450; №832) მოჭრა/გადარგვას.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამსახური კომპეტენციის**

**ფარგლებში თანახმაა 01.72.14.014.880; 01.72.14.014.881 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.**

დამატებით, გამწვანების დეტალურ (დენდროლოგიურ) პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე (საპროექტოდ გათვალისწინებული თითოეული ნაკვეთისთვის/სექტორისთვის ცალ-ცალკე), გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებით.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 მ<sup>2</sup> ერთი ძირი მცირე ზომის ან პირამიდული, (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), 15-20 მ<sup>2</sup> საშუალო, 20-25 მ<sup>2</sup> დიდი ვარჯის მქონე წიწვოვანი ან/და ფოთლოვანი ხეებისთვის, ხოლო, 5 მ<sup>2</sup> ერთი ძირი ბუჩქისთვის (მაგ: იაპონური კვიდო, ტუია და სხვა).

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის № 05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ვერხვის, ასევე კვიპაროსის სახეობების და ხილ-კენკროვანი ხეებისა.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხშობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

რაც შეეხება ვერხვის ხეებს, ისინი ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამოწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01241503364  
თარიღი: 29/05/2024

2024 წლის 27 მაისის N 01241484435-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 234 ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.880, 01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2024 წლის 26 მაისის N 012414727-67 განცხადების პასუხად N 01241481919 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

დამატებით გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა(ები), რომლის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული იქნება არანაკლებ 2.5 მეტრი სიგანის ტროტუარები. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე ან/და შიდა გეგმარებაში სამანქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ტროტუარებისგან დამოუკიდებლად გზის სიგანე შეადგენდეს არანაკლებ 6 მეტრს. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01241481919  
თარიღი: 27/05/2024

2024 წლის 26 მაისის N 012414727-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 234 ბ-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.880, 01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. მიმდებარე გზების ნაწილს ტროტუარი გააჩნია, თუმცა გვხვდება სარეაბილიტაციო მონაკვეთები. აღსანიშნავია, რომ საქვეითო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. საპროექტო ტერიტორიიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტის განჩენებები მისაწვდომ საფეხმავლო მანძილზეა. ამასთან, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ქუჩებზე განახლება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე წარმოსადგენი იქნება სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა(ები), რომლის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული იქნება არანაკლებ 2.5 მეტრი სიგანის ტროტუარები. საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე ან/და შიდა გეგმარებაში სამანქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ტროტუარებისგან დამოუკიდებლად გზის სიგანე შეადგენდეს არანაკლებ 6 მეტრს. აღნიშნული გადაამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი.



ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანზე არსებულ  
რეგისტრირებულ  
მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: № 01.72.14.014.880,  
01.72.14.014.881) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის  
განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

თბილისი

2024 წელი

## გეგმარებითი დავალების შინაარსი

1.	გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი.....	3
1.1	ტერმინთა განმარტება .....	3
1.2	სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები .....	3
1.3	ამოსავალი პირობები .....	6
2	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები .....	7
2.1	გასათვალისწინებელი ქალაქთმშენებლობითი სტანდარტები.....	7
2.1.1	გასათვალისწინებელ ტექნიკური რეგლამენტები: .....	7
2.2	ტერიტორიის დახასიათება.....	8
2.3	შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან.....	8
2.4	სივრცით მოცულობითი გადაწყვეტა; მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა, ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა .....	9
2.5	მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა .....	9
2.6	მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა).....	10
2.7	ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობების განსაზღვრა .....	10
2.8	მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა.....	11
2.9	ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.....	11
3	ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები; .....	12
3.1	საპროექტო ტერიტორიის არეალი.....	12
3.2	არსებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები.....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
3.3	დასაშვები ფუნქციური ზონის სახეობები.....	13
3.4	განაშენიანების რეგულირების ხაზები .....	15
4	განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდგომი – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი .....	15
5	შენიშვნები: .....	17

## 1. გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველი

### 1.1 ტერმინთა განმარტება

დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია “სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ” საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებულ “დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების თაობაზე” ტექნიკურ რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც ძირითადი ტერმინები, გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა, განიმარტება შემდეგნაირად:

**გეგმარებითი დავალება** – დაგეგმვის უფლებამოსილების მქონე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს;

**განაშენიანების რეგულირების გეგმა** – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარგებლობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

### 1.2 სამართლებრივი საფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები

**განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების დამტკიცების სამართლებრივი საფუძვლები**

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი (68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტი);
2. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
